N 22-10-1081
23/06/2022

1081-შ-22-10-3-202206231508

„სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2022 წლის 23 ივნისის N4 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით გამართული საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვების ცხრილი

ადმინისტრაციული ორგანო / კერძო პირი და, საჭიროების შემთხვევაში, კომენტარების შემცველი დოკუმენტის თარიღი და ნომერი	**კომენტარები**	**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარებზე**
სს „სილქნეტი“ (13.05.2022 Nშ-22-6/1900)	**კომენტარი 1** **დისტანციური არხით პორტირების პროცესი და მიზანი** როგორც თქვენთვის ცნობილია, ოპერატორები და მათ შორის სილქნეტი მომხმარებლებს დღესაც სთავაზობენ დისტანციური არხით (ვებ-გვერდი) პორტირებას; მიუხედავად აღნიშნულისა, დადგენილების შემოთავაზებული პროექტით ინერგება დისტანციური არხით პორტირების კონკრეტული სავალდებულო სისტემა, სადაც: ა) პორტირების განაცხადის მიღება და პორტირების მსურველ პირთან ხელშეკრულების გაფორმება (ამ პირის იდენტიფიცირების გარეშე	**პასუხი სს „სილქნეტის“ პირველ კომენტარზე** კომისია არ იზიარებს სს „სილქნეტის“ პოზიციას, რომ დადგენილების პროექტი წინააღმდეგობაში მოდის, თვით ნომრის პორტაბელურობის დადგენილებასთან, რომლის თანახმადაც პორტირება იზღუდება, თუ „სააბონენტო ნომერი, რომლის პორტირებასაც ითხოვს პირი ეკუთვნის სხვა პირს“; დადგენილების ცვლილების შესაბამისად, პორტირების დისტანციური განაცხადი შესაძლოა წარადგინოს პორტირების მსურველმა პირმა, რომელიც დადგენილების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად,

	უნდა განხორციელდეს დასაპორტირებელი სააბონენტო ნუმერაციის რესურსის მართლზომიერი მფლობელის სახელით, დასაპორტირებელ სააბონენტო ნომერზე გაგზავნილი კოდის შეყვანით; ბ) თუმცა, ოპერატორებმა სავალდებულოდ უნდა განახორციელონ სიმბარათის /e-sim ბარათის მიმღები/ჩამბარებელი პირის(და არა ხელშემკვრელი/პორტირებ ის მსურველი პირის) იდენტიფიცირება, რომელიც შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, კერძოდ არ იყოს არც ხელშემკვრელი მხარე (ანუ ნუმერაციის რესურსის მფლობელი, ვისთანაც გაფორმდა სააბონენტო ხელშეკრულება) და არც სააბონენტო ნომრით ფაქტობრივად მოსარგებლე პირი. შესაბამისად, პროექტის თანახმად, კონკრეტული პირის სახელით (კონკრეტული პირის პერსონალური მოინაცემების გამოყენებით) დისტანციური არხით ხელშეკრულების დადება და ნომრის პორტირება შესაძლებელია განხორციელდეს არა მხოლოდ იმ პირის მიერ, ვინც რეალურად წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირს (და ნუმერაციის რესურსის მართლზომიერ მფლობელს), არამედ პორტირების უნიკალური	განმარტებულია, როგორც ბოლო მომხმარებელი (აბონენტი), რომელიც ითხოვს სააბონენტო ნომრის პორტირებას, იგივე სააბონენტო ნომრით სხვა ავტორიზებული პირის მომსახურების მიღებისთვის, ამასთან აუცილებელია, რომ პორტირების განაცხადში მიეთითოს ბოლო მომხმარებლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ამავდროულად პორტირების შეკვეთა უნდა განხორციელდეს დასაპორტირებელი ნომრიდან, ხოლო ვებგვერდის ან აპლიკაციის მეშვეობით პორტირების შეკვეთისას, პორტირების პროცესი შესაძლოა დასრულდეს მიმღები ოპერატორის მიერ დასაპორტირებელ ნომერზე გაგზავნილი კოდის მეშვეობით. რაც შეეხება სს „სილქნეტის“ კომენტარში მითითებულ საკითხს, რომ შესაძლოა პორტირების ხელშეკრულება გაფორმდეს არა ხელშემკვრელ მხარესთან, ასეთი შესაძლოა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაპორტირებელი ნომრის მესაკუთრე თავად გადასცემს სხვა პირს საკუთარ სიმბარათს და გაუმჟღავნებს საკუთარ პეროსონალურ მონაცემებს (სახელი, გვარი,

	კოდის (რომელიც იგზავნება დასაპორტირებელ ნომერზე) მფლობელი პირის მიერ. აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოდის, თვით ნომრის პორტაბელურობის დადგენილებასთან, რომლის თანახმადაც პორტირება იზღუდება, თუ „სააბონენტო ნომერი, რომლის პორტირებასაც ითხოვს პირი ეკუთვნის სხვა პირს“; ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სილქნეტი ყოველთვის მიესალმება ისეთ ცვლილებებს და არა ერთხელ მოუმართავს ინიციატივით, რომელიც პოტენციური აბონენტების დისტანციური იდენტიფიცირების/მომსახურების მიწოდების გამარტივებას ემსახურება; თუმცა უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი პროექტით ნამდვილად არ მარტივდება დისტანციური პორტირების და/ან დისტანციური იდენტიფიცირების პროცესი, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თუ დღეს ოპერატორების მიერ დანერგილი დისტანციური სისტემებით ოპერატორები ახორციელებენ ხელშემკვრელი მხარის/პორტირების მსურველი პირის იდენტიფიცირებას (კანონმდებლობით დადგენილი წესით), შემოთავაზებული ცვლილებებით ვალდებული ვიქნებით ხელშემკვრელი/პორტირების მსურველი პირის ნაცვლად კანონმდებლობით	პირადი ნომერი). მსგავსი ალბათობა/დაშვება არსებობს ყველა სახის დისტანციური მომსახურებისას, როდესაც ხელშემკვრელი მხარის მიერ ხდება პერსონალური მონაცემებისა და მომსახურების მიმწოდებელი პირის მიერ გაცემული დაცვის საშუალებების: კოდის, პაროლის, (ამ შემთხვევაში სიმბარათის) და ა.შ. მესამე პირზე გამჟღავნება. ასევე შეიძლება არსებობდეს მეორე თეორიული დაშვება იმისა, რომ ნომრის მესაკუთრის პერსონალური მონაცემები და თავად სიმბარათი (ერთობლიობაში) არალეგალურად აღმოჩნდეს მესამე პირის ხელში. ასეთი ალბათობის დადგომის და მერე მესამე პირის მიერ განზრახ, ნომრის მესაკუთრის ნების გარეშე პორტირების რისკი იმდენად დაბალია, რომ ის არ შეიძლება განხილულ იქნეს იმ სახის საფრთხედ, რომლის გამოც შეიძლება უარი ითქვას პორტირების გამარტივების პროცესზე. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთი პირის მიერ მეორე პირის პერსონალური მონაცემების არამართლზომიერად დაუფლების შემთხვევაში, გაცილებით დიდია სხვა დისტანციური მომსახურებებიდან

	დადგენილი წესით სავალდებულოდ დავაიდენტიფიცეროთ პირი, ვინც ჩაიბარებს სიმ-ბარათს/e-sim ბარათს და რომელიც შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი (კერძოდ არ იყოს არც ხელშემკვრელი მხარე და არც სააბონენტო ნომრით ფაქტობრივად მოსარგებლე პირი). უნდა აღინიშნოს, რომ სილქნეტი არ არის წინააღმდეგი, რომ კომისიამ მოხსნას მის მიერ დაწესებული შეზღუდვა და პირებს, რომლებიც არიან ნომრის ფაქტიური მფლობელები (თუმცა მათზე არ არის გაფორმებული სააბონენტო ნომერი), დაპორტირების საშუალება მიეცეთ; თუმცა მიგვაჩნია, რომ ერთმნიშვნელოვნად არასწორი მიდგომაა-ზემოაღნიშნული კონკრეტული მიზნის მისაღწევად და კანონმდებლობით კომისიის მიერ დადგენილი (მოქმედი) შეზღუდვის (პორტირება იზღუდება, თუ სააბონენტო ნომერი, რომლის პორტირებასაც ითხოვს პირი ეკუთვნის სხვა პირს“) გვერდის ასავლელად დაინერგოს დისტანციური პორტირების შემოთავაზებელი კონკრეტული სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს მხოლოდ დისტანციური პორტირების შემთხვევაში კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გვერდის ავლით განახორციელოს	წარმოშობილი საფრთხე (მაგ. დისტანციური საბანკო მომსახურება, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა), ვიდრე ეს ნომრის პორტირების შემთხვევაში შეიძლება იყოს, რამეთუ იმ შემთხვევაშიც კი თუ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ მესამე პირი ნომრის მესაკუთრის სურვილის საწინააღმდეგოდ განახორციელებს ნომრის პორტირებას (რისი ალბათობაც ძალიან მცირეა ზემოაღნიშნული მიზეზების, ასევე მობილური ნომრის დანიშნულებისა და გამოყენების ხასიათის გათვალისწინებით), რასაც არ მოიწონებს ნომრის მესაკუთრე, მას შეუძლია ნებისმიერ დროს განკარგოს მობილური ნომერი საკუთარი სურვილის შესაბამისად, ვინაიდან ნომერი რჩება მის საკუთრებაში. აღსანიშნავია, რომ მობილური ნომრის შემთხვევაში, მის ღირებულებას წარმოადგენს კონკრეტული სიმბოლოებით შედგენილი ნუმერაციის რესურსი (სხვადასხვა ღირებულების მქონე) და სიმბარათი, რომელსაც მატერიალური ღირებულება პრაქტიკულად არ გააჩნია. ამ შემთხვევაში ვინაიდან, ნომერი რჩება მესაკუთრის საკუთრებაში, მატერიალური ზიანი ვერ მიადგება ნომრის

	ხელშეკრულების გაფორმება და პორტირება, რაც მომხმარებლის მიერ მომსახურების ცენტრში ფიზიკურად მისვლის შემთხვევაში ვერ განხორციელდება. ასევე სილქნეტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრობლემა (ნომრით მოსარგებლე პირზე არ არის გაფორმებული ნომერი) უნდა მოგვარდეს გლობალურად/კანონიერად, კერძოდ უნდა შემუშავდეს ბაზრისათვის ერთიანი წესები, რომლითაც იხელმძღვანელებენ ოპერატორები და რომლის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც აბონენტს შესაძლებლობა ექნება თავის სახელზე გადაიფორმოს ნომერი, იმ დათქმით, რომ თუ აღნიშნულ ნომერზე პრეტენზიას განაცხადებს (მაგალითად გადაფორმებიდან 3 წლის ვადაში) ნომრის გადაფორმებამდე რეგისტრირებული ნუმერაციის რესურსის მართლზომიერი მფლობელი, ნომერი დაუბრუნდება შესაბამის პირს.	მესაკუთრეს და ნებისმიერ დროს შეუძლია განკარგოს აღნიშნული ნუმერაციის რესურსი და აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა. კომისია ასევე ვერ გაიზიარებს სს „სილქნეტის“ პოზიციას, რომ დისტანციური პორტირების პროცესი რთულდება ნაცვლად გამარტივებისა. ამ შემთხვევაში, კომისიის მიზანია მომხმარებლისთვის პროცესის გამარტივება, რაც მიიღწევა მობილური ოპერატორების მიერ ახალი სერვისების დანერგვით. რაც შეეხება სიმბარათის მიმღები პირის იდენტიფიცირებას, აღნიშნული აუცილებელია, რათა მიმღები ოპერატორი დარწმუნდეს, რომ სიმბარათი გადაეცა პორტირების განაცხადში მითითებულ პირს. კომისია ვერ დაეთანხმება სს „სილქნეტს“, რომ დისტანციური პორტირების შემთხვევაში, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გვერდის ავლით, ეძლევა საშუალება მომხმარებელს, განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმება. კომისიის დადგენილება წარმოადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს და შესაბამისად, კანონმდებლობის

		შემადგენელ ნაწილს. ამდენად, აღნიშნულ დადგენილებაში განხორციელებული ცვლილება წარმოადგენს კანონმდებლობის ცვლილებას, რომელიც ახლებურად დაარეგულირებს ფიზიკური პირების მიერ დისტანციური პორტირების საკითხებს. კომისია ასევე ვერ გაიზიარებს სს „სილქნეტის“ მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს, რა დროსაც სიმბარათის ფაქტობრივად მფლობელ პირზე უნდა გადაფორმდეს სააბონენტო ნომერი, რა დროსაც მობილური ნომრის მესაკუთრე კარგავს საკუთრების უფლებას ნომერზე. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის საკუთრების კონსტიტუციური უფლების პრინციპებთან, რაც გულისხმობს, რომ საკუთრების უფლება აღიარებულია და უზრუნველყოფილია. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი

		აუცილებლობისას. ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, სს „სილქნეტის“ პირველი კომენტარი არ იქნა გაზიარებული კომისიის მიერ.
	კომენტარი 2 **პორტირების დრო** დადგენილების პროექტის თანახმად, ფიზიკურ პირ აბონენტს სერვის ცენტრში მისვლით პორტირების მოთხოვნის დაფიქსირებისას აღარ ეძლევა შესაძლებლობა თავად განსაზღვროს მისთვის სასურველი დრო (24 საათისაგან განსხვავებული) პორტიორების განხორციელების დრო, მათ შორის კონკრეტული საათი და ნებისმიერ შემთხვევაში აქვს უფლება განსაზღვროს პორტირების სასურველი დრო (24 საათისგან განსხვავებული) თუ პორტირების მოთხოვნა წარდგენილია დისტანციური არხით და ფიზიკური სიმ-ბარათის მიწოდება უნდა განხორციელდეს მომხმარებლის მიერ განსაზღვრულ მისამართზე). შეგახსენებთ, რომ დღეს აბონენტს (სერვის ცენტრში მისვლით პორტირების მოთხოვნის დაფიქსირებისას) უფლება და შესაძლებლობა აქვს (i) დაპორტირდეს დადგენილებით განსაზღვრულ უმოკლეს	**პასუხი სს „სილქნეტის“ მე-2 კომენტარზე** დადგენილების დღეს მოქმედი რედაქციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააბონენტო ნომრის პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორმა, დონორმა და მიმღებმა ოპერატორებმა, კოორდინირებულად უნდა უზრუნველყონ სააბონენტო ნომრის პორტირების პროცესის დასრულება, ყველა საჭირო ტექნიკური და ადმინისტრაციული პროცედურების ჩათვლით, პორტირების მსურველი პირის პორტირების თაობაზე განაცხადის პორტირების ბაზაში რეგისტრაციიდან 24 სააათში. შესაბამისად, გაუგებარია, თუ რომელი ნორმის საფუძველზე ახორციელებს პორტირებას სს „სილქნეტი“ 3 დღეში. კომისიის მიზანია, რომ პორტირების პროცესი არ იყოს დროში გაწელილი და 24 საათი იყოს ის მაქსიმალური ვადა (გარდა საგამონაკლისო შემთხვევისა), რომელშიც უნდა დასრულდეს

	დროში, 24 საათში, (ii) ხოლო თუ აბონენტს (24 საათიანი ვადისგან განსხვავებულ) კონკრეტულ დროს სურს პორტირება (მაგალითად 23:00 საათზე) შესაძლებლობა აქვს დაპორტირდეს ზუსტად იმ კონკრეტულ საათზე. (სილქნეტის შემთხვევაში განაცხადის ატვირთვიდან მაქსიმუმ 3 დღის განმავლობაში). აქვე უნდა განვმარტოთ, რომ დღევანდელი მოწყობა აბონენტს მოქნილობის შესაძლებლობას აძლევს და ჩვენი ინფორმაციის თანახმად, აბონენტის დაახლოებით 30% ირჩევს უმოკლესი ვადისგან (24 საათისგან) განსხვავებულ დროს პორტირებისთვის. შესაბამისად, ჩვენთვის გაუგებარია რა მიზანს ემსახურება კომისიის მიდგომა, შეუზღუდოს ფიზიკურ პირ აბონენტებს არჩევანი, რაც დაბრკოლებას შეუქმნის მომხმარებლებს პორტირების განხორციელებაში და ნეგატიურად აისახება პორტირების პროცესზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ 1) მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის ბოლო წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სააბონენტო ნომრის პორტირების პროცესი, ყველა საჭირო ტექნიკური და ადმინისტრაციული პროცედურების ჩათვლით უნდა დასრულდეს, პორტირების მსურველი პირის პორტირების თაობაზე განაცხადის მიმღების მიერ	პორტირების პროცესი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სს „სილქნეტის“ მე-2 კომენტარი არ იქნა გაზიარებული კომისიის მიერ.

	პორტირების ბაზაში რეგისტრაციიდან 24 საათში, თუ აბონენტის მოთხოვნით უფრო დიდი ვადა არ არის განსაზღვრული, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს X სამუშაო დღეს:	
	კომენტარი 3 **დონორის მიერ ფიზიკური პირი აბონენტებისთვის პორტირების შემზღუდველი გარემოების არარსებობა/არსებობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება** მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად: დონორი ოპერატორი ვალდებულია ფიზიკური პირი ბოლო მომხმარებელის (აბონენტის) მომართვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი სატელეფონო ნომრის პორტირების ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემზღუდველი გარემოებების არსებობის ან არსებობის თაობაზე.... მომხმარებელს (აბონენტს) სატელეფონო ნომრის პორტირების ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემზღუდველი გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე ინფორმაცია, ასევე მიეწოდება მოკლე ტექტური შეტყობინებით“. მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში მოცემული პორტირების შემზღუდველი გარემოებების არსებობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება არარელევანტურია და	**პასუხი სს „სილქნეტის“ მე-3 კომენტარზე** სს „სილქნეტი“ მიუთითებს დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პორტირების შემზღუდველ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ ოთხი შემზღუდველი გარემოებიდან, მომხმარებლის დაინტერესების შემთხვევაში (დადგენილების ცვლილების პროექტი ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობას მომხმარებლებისთვის, უშუალოდ პორტირების განაცხადის წარდგენამდე), ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მხოლოდ ორ მათგანზე, ხოლო ორი შემზღუდველი გარემოების თაობაზე მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულება არ უნდა ჰქონდეს დონორ ოპერატორს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას აღნიშნული ინფორმაცია. კომისია აღნიშნავს, რომ

	დამატებით პრობლემებს გამოიწვევს: ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შემთხვევაში სმს-ით ინფორმაციის მიწოდებისას და ბ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შემთხვევაში ყველა ფორმით, კერძოდ: დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტთან (თუ სააბონენტო ნომერი, რომლის პორტირებასაც ითხოვს პირი ეკუთვნის სხვა პირს ან სააბონენტო ნომრის მფლობელი დაუდგენელია) მიმართებაში სს „სილქნეტს“ მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტის თანახმად, რაც ლოგიკურია და რასაც ეთანხმება სილქნეტიც (იხ. მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი), თუ პირმა ვერ გაიარა იდენტიფიცირება, მას, იგივე საკომუნიკაციო საშუალებით, რომლითაც ხორციელდება იდენტიფიცირება მიეწოდება ინფორმაცია, რომ აბონენტი იდენტიფიცირებული არ არის და ამგვარ შემთხვევაში (როდესაც აბონენტის იდენტიფიცირება ვერ განხორციელდა) საკითხის შემდგომი მოკვლევა (არსებობს თუ არა პორტირების სხვა შემზღუდველი გარემოებაც) აღარ ხორციელდება და დონორი არ გასცემს დამატებით ინფორმაციას; როდესაც აბონენტი იდენტიფიცირებული არ არის, ინფორმაცია რომ აბონენტმა ვერ გაიარა იდენტიფიცირება, დამატებით სმს-ით აღარ უნდა გაეგზავნოს აბონენტს	ვინაიდან პორტირების შემზღუდველი გარემოებები მითითებულია დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში, აღნიშნული მუხლის პუნქტზე მითითება სრულად ხდება მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში და ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ყველა შემთხვევის დადგომა არის გარდაუვალი. კომისიას მიაჩნია, რომ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, რომ მითითებული იყოს პორტირების შემზღუდველი გარემოებები ამ ფორმით. რაც შეეხება მომხმარებლის მიერ იდენტიფიცირების პროცედურის გაუვლელობის შემთხვევას, დონორ ოპერატორს არ აქვს ინფორმაციის სმს-ით გაგზავნის ვალდებულება, ვინაიდან, დადგენილების მე-3 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, დონორი ოპერატორი არ გასცემს მოთხოვნილ ინფორმაციას *(მოითხოვება ინფორმაცია პორტირების შემზღუდველი გარემოებების არსებობის ან არსებობის შესახებ)* და აცნობებს, რომ მომხმარებელი არ არის იდენტიფიცირებული. შესაბამისად, ოპერატორი

	(მხოლოდ უნდა მიეწოდოს იგივე საკომუნიკაციო საშუალებით) რადგან, იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორის მიერ შემუშავებული ინტერაქტიური მეთოდით (მაგალითად ვებ-გვერდით) პირმა ითამაშა და სხვისი ნომრები მიუთითა, ნომრის მფლობელს მიუვა გაუგებარი შეტყობინება, რომ მას პორტირება ეზღუდება, რადგან მისი იდენტიფიცირება ვერ განხორციელდა, რაც არასასურველ პრობლემებს შექმნის: ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის იდენტიფიცირება განხორციელდა, ა) ქვეპუნქტი ბუნებრივია ვერ მოხვდება პორტირების შემზღუდველი გარემოებების არსებობის თაობაზე აბონენტისთვის მიწოდებულ, მათ შორის, SMS-ით გაგზავნილ ინფორმაციაში. შესაბამისად გამოდის, რომ ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული შემზღუდველი გარემოებების თაობაზე ინფორმაციის (სააბონენტო ნომერი ეკუთვნის სხვა პირს ან სააბონენტო ნომრის მფლობელი დაუდგენელია) მიწოდება არ უნდა მოხდეს დამატებით SMS-ით; ბ) პორტირების მსურველ პირს უკვე წარდგენილი აქვს განცხადება იგივე სააბონენტო ნომრის სხვა მიმღებ ოპერატორთან პორტირების თაობაზე; დონორის მიერ თავისი აბონენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ეტაპზე ბ) ქვეპუნქტით	უფლებამოსილია იმ საშუალებითვე აცნობოს მომხმარებელს მომხმარებლის არადიდენტიფიცირებულობის თაობაზე, რა საშუალებითაც მოითხოვა პირმა აღნიშნული ინფორმაცია. დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, დონორი თუ ფლობს ინფორმაციას, რომ მიმდინარეობს აღნიშნული ნომრის პორტირება, უნდა აცნობოს მომხმარებელს პორტირების შემზღუდველი გარემოების არსებობის თაობაზე. პორტირების პროცესის თაობაზე ინფორმაციის არ ქონის შემთხვევაში, დონორ ოპერატორი არ არის პასუხიმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

	გათვალისწინებული გარემოების პორტირების შემზღუდავ გარემოებად მიჩნევა და/ან ამგვარი ინფორმაციის დონორის მიერ აბონენტისთვის მიწოდება არარელევანტურია, რადგან აღნიშნული არ წარმოადგენს დონორის მიერ პორტირებაზე უარის საფუძველს. მოცემული გარემოება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს (ისიც მხოლოდ პარალელური მეორე პორტირების განაცხადისთვის) წინაღობას, როდესაც აბონენტს ერთი განცხადება უკვე წარდგენილი აქვს. ასეთ შემთხვევაში ცენტრალური ბაზა პორტირების მეორე განცხადებას ავტომატურად ბლოკავს, თუმცა პირველი პორტირება არ ჩერდება; მივიჩნევთ, რომ ბ) პუნქტით განსაზღვრული გარემოების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება დონორის მიერ მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში გათვალისწინებული არ უნდა იყოს, რადგან დამატებით გაუგებრობას გამოიწვევს. მაგალითად, თუ პირს წარდგენილი აქვს 1 განაცხადი და ამ დროს გადაამოწმებს დონორთან აქვს თუ არა პორტირების შემზღუდველი გარემოება, პასუხად მიიღებს, რომ აქვს შეზღუდვა, რადგან უკვე წარდგენილი აქვს პორტირების განაცხადი, რაც არასწორი იქნება მიმდინარე პორტირებისთვის. გ) აბონენტად გახდომიდან ან სააბონენტო ნომრის ბოლო პორტირებიდან არ გასულა 30 დღე, გარდა იმ	

	შემთხვევისა, როცა მომხმარებელი, დონორი და მიმღები ოპერატორები შეთანხმდნენ პორტირების შესაძლებლობის დადგენილ ვადაზე ადრე განხორციელების თაობაზე. ამ ქვეპუნქტთან მიმართებაში სს „სილქნეტი“ ეთანხმება ცვლილებას. დ) პორტირების მსურველ პირს, იმ სააბონენტო ნომერზე, რომლის პორტირებასაც ითხოვს, დონორი ოპერატორისგან მიღებულ მომსახურებაზე გააჩნია წინა თვის/თვეების დავალიანება, ან/და დავალიანების გამო შეზღუდული აქვს მომსახურების მიწოდება. ამ ქვეპუნქტთან მიმართებაში სს „სილქნეტი“ ეთანხმება ცვლილებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია,რომ მე-3 მუხლისმე-9 პუნქტის უნდა დაკორექტირდეს შემდეგნაერად: „დონორი ოპერატორი ვალდებულია ფიზიკური პირი ბოლო მომხმარებლის (აბონენტის) მომართვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი სატელეფონო ნომრის პორტირების ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გ) და დ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემზღუდველი გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე... მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემზღუდველი გარემოებების არსებობის თაობაზე მომხმარებელს	

	ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ იმ ინტერაქტიული მეთოდით/საკომუნიკაციო საშუალებით, რომლითაც ხორციელდება იდენტიფიცირება; მომხმარებელს (აბონენტს) სატელეფონო ნომრის პორტირების ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გ) და დ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემზღუდველი გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე ინფორმაცია ასევე მიეწოდება მოკლე ტექსტური შეტყობინებით“.	
შპს „მაგთიკომი“ (13.05.2022 N**შ**-22-6/1912)	**კომენტარი 1** „მაგთიკომისთვის“ მისაღებია პორტირების განხორციელების დისტანციური ფორმა, რა დროსაც იდენტიფიცირებული იქნება ნომრის მფლობელის ნება ხელშეკრულების შეწყვეტასა, თუ მის გაფორმებაზე და რა დროსაც იდენტიფიცირება განხორციელდება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით“ (შემდგომში - „რეგლამენტი“) გათვალისწინებული წესის დაცვით. თუმცა, „პროექტის“ თანახმად, ნომრის პორტირება შესაძლებელია განახორციელოს არამხოლოდ აბონენტმა, არამედ ნებისმიერმა პირმა, რომელიც შესაძლოა	**პასუხი შპს „მაგთიკომის“ პირველ კომენტარზე** შპს „მაგთიკომის“ პირველი კომენტარი შეეხება შემთხვევას, რა დროსაც შესაძლოა მობილური ნომრის არაკეთილსინდისიერად მფლობელმა განახორციელოს დისტანციური პორტირება. ანალოგიურ საკითხზე კომისიის პოზიცია მოცემულია წინამდებარე ცხრილის გრაფაში - პასუხი სს „სილქნეტის“ პირველ კომენტარზე. გთხოვთ, იხილოთ, აღნიშნული გრაფა.

	დროებით (მათ შორის, აბონენტის ნების საწინააღმდეგოდ) სარგებლობდეს სააბონენტო ნომრით. „პროექტის“ თანახმად, ასეთი მოსარგებლე პირის მიერ პორტირების განხორციელებისას, იგი ნომრის მფლობელის სახელით დისტანციურად აფორმებს (აბონენტის ნომერზე გაგზავნილი უნიკალური კოდის მეშვეობით) ხელშეკრულებას მიმღებ ოპერატორთან. ამდენად, სააბონენტო ნომერზე დონორ ოპერატორთან ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს და მიმღებ ოპერატორთან ხელშეკრულება გაფორმდეს ისე, რომ არც ერთ შემთხვევაში სახეზე არ იყოს ამ ნომრის რეალური აბონენტის ნების გამოვლენა. გარდა ამისა, ასეთი მეთოდით პორტირებისას შესაძლოა გაიზარდოს პორტირების უფლებით არაკეთილსინდისიერად სარგებლობის შემთხვევები, რა რისკიც „კომისიამ“ ნაწილობრივ დაინახა და შეზღუდა დასაპორტირებელი ნომრების რაოდენობა („პროექტის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ა.ი.) ქვეპუნქტი).	
	კომენტარი 2 ტექნოლოგიური	**პასუხი შპს „მაგთიკომის“ მე-2 კომენტარზე**

	განვითარებიდან გამომდინარე, დისტანციურ არხში ასევე უნდა მოიაზრებოდეს ნებისმიერი სხვა დისტანციური საშუალება (მაგ.”vending machine”). შესაბამისად გთავაზობთ ტერმინის განმარტება შეიცვალოს ქვემოთ მოცემული ფორმულირებით: დისტანციური არხი - ვებგვერდი/აპლიკაცია, კომუნიკაცია - ხმოვანი სატელეფონო კავშირით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით.	შპს „მაგთიკომის“ მე-2 კომენტარში მითითებული არგუმენტაცია გაიზიარა კომისიამ და დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „დისტანციური არხი - ვებგვერდი/აპლიკაცია, კომუნიკაცია ხმოვანი სატელეფონო კავშირით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან სხვა დისტანციური საშუალებით“.
	კომენტარი 3 მიგვაჩნია, რომ „პროექტით“ გათვალისწინებული დებულებები, რომელიც ავალდებულებს ოპერატორებს სატელეფონო ზარის საშუალებით მიაწოდოს აბონენტს ინფორმაცია პორტირების შემზღუდველი გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, შეიცავს პერსონალური მონაცემების არაუფლებამოსილ პირზე გამჟღავნების რისკებს. თუ კომისია ასეთ რისკს ვერ ხედავს, უმჯობესი იქნება ინფორმაციის გაცემა მოხდეს მხოლოდ პირადი ნომრის მითითების საფუძველზე, რადგან სახელი და გვარის მითითებისას შესაძლოა იყოს ბევრი უზუსტობა (მაგ.	**პასუხი შპს „მაგთიკომის“ მე-3 კომენტარზე** შპს „მაგთიკომის“ მე-3 კომენტარში მითითებული არგუმენტაცია გაიზიარა კომისიამ და დადგენილების მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მობილური სატელეფონო ნომრის მფლობელი ბოლო მომხმარებლის (აბონენტის) პირადი ნომრის მითითება“;

	აბონენტმა მიუთითა სახელი „დავითი“, მაშინ როდესაც ოპერატორის ბაზაში დაფიქსირებული არის „დავით“), რაც შეაფერხებს ინფორმაციის გაცემის პროცესს.	
	კომენტარი 4 დისტანციურად განხორციელებული პორტირებისას, სიმბარათის აბონენტისათვის დროულად მიწოდება, პირველ რიგში, არის მიმღები ოპერატორის ბიზნეს ინტერესი (ცნობისთვის, ეს შესაძლებლობა „მაგთიკომის“ აბონენტებს დღესაც აქვთ) და ამ პროცესის გამართული/წარმატებული ფუნქციონირება კომპანიის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ელემენტია. ამ ფონზე, თუ „პროექტით“ ეს პროცესი მკაცრად (მაგ.: სიმბარათის მიწოდების კონკრეტული ვადების განსაზღვრით) იქნება დარეგულირებული და ექნება ვალდებულებითი ხასიათი ოპერატორისთვის, თანაც ავტორიზებული პირი უნდა გახდეს მესამე პირის (საკურიერო მომსახურების მიმწოდებლის) ქმედებებზე პასუხისმგებელი, ბუნებრივია რომ ეს მიდგომა დააზიანებს თავად ამ პროცესის ეფექტურობას (მაგ.: „მაგთიკომი“ იძულებული გახდება სამართლებრივი რისკების დასაზღვევად ცალსახა უარი უთხრას აბონენტს ამ	**პასუხი შპს „მაგთიკომის“ მე-4 კომენტარზე** კომისიამ არ გაიზიარა შპს „მაგთიკომის“ აღნიშნული კომენტარი, ვინაიდან ოპერატორის მოთხოვნა სიმბარათის ჩაბარებისთვის მაქსიმალური 5 დღიანი ვადის მოხსნასთან დაკავშირებით არაარგუმენტირებულია. საფოსტო კომპანიების არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით აღნიშნული ვადა არის სრულებით საკმარისი საქართველოს ტერიტორიაზე სიმბარათის მისაწოდებლად. კომისიას მიაჩნია, რომ სიმბარათის მისაწოდებლად კონკრეტული გონივრული ვადის განსაზღვრა უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებას მიმღები ოპერატორის მიერ ვალდებულების დროულად შესრულებაზე.

	სერვისით სარგებლობაზე, თუ იარსებებს მცირე რისკიც კი კონკრეტულ მისამართზე სიმბარათის მიწოდების შეუძლებლობაზე ან/და განსაზღვროს მაქსიმალურად დიდი ვადა ან საფასური სიმბარათის მისაწოდებლად, რათა არ მოხდეს „პროექტით“ განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა).	
	კომენტარი 5 დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი „პროექტის“ იმპლიმენტაცია მოითხოვს საკმაოდ დიდი რესურსების ხარჯვას ავტორიზებული პირის მხრიდან და რაც ყველაზე სამწუხაროა არ არის შედეგის თვალსაზრისით მიზნის პროპორციული. ამასთან, ცვლილებების ამოქმედების შემოთავაზებული ვადა - 2022 წლის 1 ოქტომბერი არ არის გონივრული - განსახორციელებელი ცვლილებების მოცულობის გათვალისწინებით. ჩვენი წინადადებაა ახალი ვადა განისაზღვროს ცვლილებების „კომისიის“ მხრიდან ფორმალიზაციის (მიღებიდან) დასრულებიდან მინიმუმ 7 თვით.	**პასუხი შპს „მაგთიკომის“ მე-5 კომენტარზე** „მაგთიკომის“ მე-5 კომენტარის არგუმენტაცია გაიზიარა კომისიამ და დადგენილების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2023 წლის პირველი იანვარი.

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე



წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია